

ელისო ელიზბარაშვილი

ბ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

აკელდამა - ბიბლიური ტერმინის სემანტიკური ტრანსფორმაციის გამოვლინება¹

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სიტყვის აკელდამა/აკლდამა, რაც ქართულში ბერძნულის გზით (Ἀκελδάμα v.l. Ἀκελδάμαχ) უნდა შემოსულიყო, სემანტიკური მნიშვნელობის ევოლუცია. თავის მხრივ, იგი არამეულიდან მომდინარეობს אַחַד חָמָא (Haqel D'ma) და ითარგმნება როგორც „სისხლის მიწა“, ანუ „დაბაჲ სისხლისაჲ“, როგორც მათეს სახარებასა და მოციქულთა საქმეში დასტურდება (ბრძ. χαρίον αἵματος, ἄγριος αἵματος; ლათ. ager sanguinis). თუმცა, შემდგომში ეს სიტყვა ბერძნულ ენაში არ დამკვიდრებულა და მისი გამოყენება მხოლოდ აღნიშნული მნიშვნელობითა და კონტექსტით შემოიფარგლა განსხვავებით ქართულისგან, სადაც აკლდამა საპატიო სამარხი ნაგებობის აღმნიშვნელი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ის იუდა ისკარიოტელის ცოდვასთან ასოცირდება, რამდენადაც ოცდაათი ვერცხლის საფასურად შეძენილ მიწას აღნიშნავს. სიტყვის აკელდამა სემანტიკური მნიშვნელობის ასეთი ტრანსფორმაცია სტატიაში ახსნილია იერუსალიმში ამ სახელით ცნობილ ადგილას მომლოცველთა დაკრძალვის ტრადიციით, რაც კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქართველთათვის იმ დროისათვის იერუსალიმის სასულიერო კერებში მოღვაწე თანამემამულეთა მეშვეობით და, რაც გამოძახილია მათეს სახარებისა, რომ მღვდელ-მთავრებმა ეს მიწა იყიდეს „საფლავად უცხოთა“. ამავე ადგილას XIII-ში ჰოსპიტალერების ორდენის წევრებმა, წმ. იოანეს რაინდებმა ააშენეს დიდი მიწისქვეშა თაღოვანი ნაგებობა, რომელსაც უწოდებდნენ Chaudemar-ს, რაც დამახინჯებული ფორმაა სიტყვებისა Champ de Mar (სისხლის ველი), ანუ როგორც იწოდება აკელდამა მოციქულთა საქმეში. ამ გარემოებამ, თავის მხრივ, განაპირობა სიტყვა აკელდამა/აკლდამას სემანტიკური მნიშვნელობის ევოლუცია და მისი თავდაპირველი მნიშვნელობის სრული ინვერსია იუდას ცოდვიდან საპატიო სამარხ ნაგებობამდე.

საკვანძო სიტყვები: აკლდამა, ეტიმოლოგია, სემანტიკური მნიშვნელობა, სისხლის მიწა, სამარხი ნაგებობა

¹ სტატია ეფუძნება მოხსენებას, რომელიც წაკითხულ იქნა კოტე წერეთლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე, იხ. თეზისები - ელისო ელიზბარაშვილი, აკელდამა/აკლდამა - „დაბაჲ სისხლისაჲ“ (ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევა), I საერთაშორისო კოფერენცია „სემიოლოგიური ძიებანი“, (თბილისი, 2017), გვ. 32-35.

ბიზანტიურ-ქართულ დოკუმენტირებულ ლექსიკონზე მუშაობისას² ჩვენი ყურადღება მიიპყრო ლექსიკურმა ერთეულმა - აკელდამა/ აკლდამა, რასაც შეესაბამებოდა ბერძნული Ἀκελδάμα v.l. Ἀκελδάμαχ. სოფოკლესის ბიზანტიური ბერძნული ენის ლექსიკონში³ ის განმარტებულია როგორც „field of blood“ (მოციქულთა საქმის დამოწმებით - „დაბაჲ სისხლისაჲ“), რაც თავის მხრივ მომდინარეობს არამეულიდან חמד 'חמ (Haqel D'ma) და ითარგმნება როგორც „სისხლის მიწა“. შემდგომში ეს სიტყვა ბერძნულ ენაში არ დამკვიდრებულა და მისი გამოყენება მხოლოდ აღნიშნული მნიშვნელობითა და კონტექსტით შემოიფარგლა განსხვავებით ქართულისგან, სადაც **აკლდამა** საპატიო სამარხი ნაგებობის აღმნიშვნელი გახდა მიუხედავად იმისა, რომ მისი სახარებისეული სემანტიკა უკავშირდება იუდა ისკარიოტელს, რომელმაც იმ ოცდაათი ვერცხლის საფასურად შეიძინა შემდგომში ამ სახელით ცნობილი მიწა. კერძოდ, „საქმე მოციქულთა“ მოგვითხრობს, რომ იუდამ მაცხოვრის გაცემის შედეგად მიღებული ოცდაათი ვერცხლით „მოიგო დაბა იგი სასყიდელითა მით სიცრუვისათა, და განსივნა და განსქდა შორის, და განიბნეს ყოველნი ნაწლევნი მისნი; და საცნაურ იქმნა ყოველთა მკვდრთა იერუსალიმისთა, ვიდრეღა ეწოდაცა დაბასა მას თვისთა მათითა **აკლდამა**, ესე იგი არს **დაბაჲ სისხლისაჲ**“ (ბერძ. Ἀκελδάμα, χαρίων ἀΐματος/ ლათ. Aceldamach, hoc est ager sanguinis).⁴ განსხვავებული ვერსიაა მათეს სახარებაში, სადაც თავად სიტყვა **აკლდამა** არ არის ნახსენები: „მღუდელთ-მთავართა მოიღეს ვერცხლი იგი და ჰსთქუეს: არა ჯერ-არს ესე დაღებად სიწმიდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისა არს; და ზრახუა ჰყუეს, მოიყიდეს მითა აგარაკი იგი მეკეცისა, საფლავად უცხოთა; ამისათვის ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისა (ბერძ. ἀγρὸς ἀΐματος ლათ. ager sanguinis).⁵ ამგვარად, მათეს სახარების მიხედვით **აკლდამა** ქრისტეს სისხლთან ასოცირდება, ხოლო მოციქულთა საქმის მიხედვით - იუდას სისხლთან. თუმცა, ორივე შემთხვევაში როგორც სიტყვა, ისე აღგილი ქრისტეს ოცდაათ ვერცხლად გაცემას უკავშირდება და მკვეთრად უარყოფითი შინაარსითაა დატვირთული. გვაქვს კიდევ ერთი წყარო - „დიდი სჯულის კანონი“⁶, სადაც ბასილი დიდი ეპისტოლეთი მიმართავს თავის ქვეშევრდომ ეპისკოპოსებს, რათა მათ არ განახორციელონ ხელთდასხმა ფულით: „ქრისტეზე უფრო მეტად პატივს ნუ სცემთ კერპებს მცირეოდენი ვერცხლისთვის. ნუ მიემსგავსებით იუდას და ქრთამისთვის მეორედ ნუ გასცემთ ჩვენთვის ერთხელ უკვე ჯვარცმულს, ვინაიდან ის სოფლებიც და ხელებიც, რომლებიც იღებენ ქრთამს, იწოდებიან **აკლდამად**“. დიდი სჯულის კანონის ახალქართული ვერსიის ავტორების განმარტებით **აკლდამა** ებრაულიდან მომდინარეობს და ითარგმნება

² რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების საგრანტო პროექტი „ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი ნელი მახარაძე †), 2015-2018 წწ.

³ Evangelinos A. Sophocles, Greek lexicon of the Roman and Byzantine periods (from B.C. 145 to A.D. 1100), (Cambridge: Harvard University Press, 1914).

⁴ საქმე მ. 1:18-19.

⁵ მათე 27: 6-8.

⁶ არსენ იყალთოელი, თარგმნ., დიდი სჯულისკანონი, გამომც. ენრიკო გაბიძაშვილი, ელგუჯა გიუნაშვილი, მანანა დოლაქიძე და გულნარა ნინუ (თბილისი: მეცნიერება, 1975).

როგორც „ფასი და სოფელი სისხლისა“⁷ და, ამგვარად, იგივე შინაარსის მატარებელია, როგორც წმინდა წერილში.

გარდა წერილობითი წყაროებისა, რაც **აკელდამას** სემანტიკური შინაარსის გააზრებაში გვეხმარება, მნიშვნელოვანია ცნობები მისი ადგილმდებარეობისა და შემდგომი ფუნქციის შესახებ. დღეისათვის აკელდამა კონკრეტულ ადგილს აღნიშნავს იერუსალიმში ჰინომის ველის სამხრეთით, რომელიც თიხით უნდა ყოფილიყო მდიდარი. ხოლო უძველეს დროს მეთუნეთა საკუთრება იყო და „მეთუნეთა მიწის“/ „მეკეცის მიწის“ სახელით მოიხსენიება წმინდა წერილში. მათეს სახარების მიხედვით მღვდელმთავრებმა სწორედ მეთუნეებისგან შეიძინეს ეს მიწა, რაც იყო წინასწარმეტყველების აღსრულება⁸. კერძოდ, ვკითხულობთ: „მაშინ აღესრულა თქმული იგი იერემია წინასწარმეტყველისაჲ, რომელსა იტყვს: და მოვიღე ოც და ათი იგი ვეცხლი, სასყიდელი განსყიდულისაჲ მის, რომელი მოიყიდეს ძეთაგან ისრაჴლისათა, და მისცეს იგი აგარაკისათჳს მეკეცისა, ვითარცა მიბრძანა მე უფალმან“⁹. სახარებისეული ეს თხრობა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებების აღსრულებასთან ასოცირდება¹⁰. „მეთუნის სახლი“, რომელიც მოიხსენიება იერემია წინასწარმეტყველთან, მიიჩნევა, რომ აკელდამას ადგილას იყო¹¹.

აკელდამას ადგილმდებარეობის შესახებ წერენ ევსევი კესარიელი და წმ. ჰიერონიმე. კერძოდ, ევსევი აღნიშნავს, რომ ეს ადგილი სიონის მთის ჩრდილოეთ ფერდობზე იყო¹², ხოლო იერონიმე ჩრდილოეთ ფერდობის ნაცვლად სამხრეთ ფერდობს ასახელებს¹³. თუმცა ევსევი კესარიელი თავის *ონომასტიკონში* კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ აკელდამა იერუსალიმში თოფეთის მახლობლად ჰინომის ველის სამხრეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო¹⁴. თავის მხრივ, ჰინომის ველი, ანუ გენა ძველათქმისეული ხედვით უფლის სასჯელის მეტაფორაა და წმინდა წერილში ჯოჯოხეთის აღმნიშვნელია. თავად სიტყვა ებრაულიდან მომდინარეობს (*Etym.* ებრ. חִינוֹם - *ghē Hinnom*), რაც ჰინომის ვაკეს ნიშნავს და რამაც ბერძნულში Γέεννα, ლათინურში *Gehēnna* ან *Geēnna*, ხოლო ქართულში გენია, გეჰენია ფორმები მიიღო. ამ ტოპონიმს კიდევ უფრო ამძიმებს შინაარსობრივად ის ფაქტი, რომ აქ მდებარეობდა თოფეთი, სადაც კერზთაყვანისმცემლები, ქანაანელთა და ისრაელიანთა გარკვეული თემები მოლოხს სწირავდნენ ბავშვებს: “ და აღაშენეს ბომონი ტაფეტისი, რომელ არს ჴევსა შინა ძისა ენნომისსა დაწუად ძეთა მათთა და ასულთა მათთა ცეცხლისა მიერ, რომელი არა ვამცენ მათ, არცა მოვიდა გულსა შინა

⁷ არსენ იყალთოელი, თარგმნ., დიდი სჯულის კანონი, ახალქართული ვერსია, გამომც. მანანა დოლაქიძე და გულნარა ნინუა (თბილისი, 2009) 24.

⁸ იხ. ზემოთ.

⁹ მათე 27: 9-10.

¹⁰ ზაქ. 11:12-13; იერ. 32: 2, 15, 43; 7: 32. Arie W. Zwiep, Judas and the choice of Mathias: a study on context and concern of Acts 1: 15-26 (Mohr Siebeck, 2004), p. 150; იხ. ასევე: Robert H. Gundry, The Use of the Old Testament in St. Matthew's Gospel (Leiden: Brill, 1967), 124f.

¹¹ იერ. 18: 1-6.

¹² Erich Klostermann, ed. Das Onomastikon der biblischen Ortsnamen (Leipzig: J. C. Hinrichs, 1904), (repr. Hildesheim: Georg Olms, 1966), 38: 20.

¹³ Klostermann, Onomastikon, 39: 27.

¹⁴ Klostermann, Onomastikon 102: 16.

ჩემსა”¹⁵. ამიტომ იუდეის მეფემ ოსიამ (ძვ. წ. VII ს) შეაბღალინა ეს ადგილი და აკრძალა აღნიშნული მსხვერპლშეწირვის რიტუალი. შემდეგ ეს ველი იერუსალემის ნაგავსაყრელად იქცა და აქ მუდამ ენთო ცეცხლი, რომელიც აღიქმებოდა ღმრთის სამსჯავროს სიმბოლოდ და ჯოჯოხეთის განსახიერებად¹⁶.

მოგვიანებით ამ მიწაზე უცხოელთა, არაებრაელთა სასაფლაო იყო აკლდამის ტიპის სამარხებით¹⁷. ქრისტიანული გადმოცემით აქ IV ს-ში სახლობდა ღირსი ონოფრე დიდი, რომელმაც, როგორც ხატოვნად აღნიშნავს ცნობილი ბიზანტინისტი მიხეილ ბიბიკოვი, „ეს მიწა გამოიღოცა“. ასევე არსებობდა ტრადიცია აკლდამადან მიწის წაღებისა ევროპის სასაფლაოებზე, რამდენადაც ამ მიწას განსაკუთრებულ თვისებებს მიაწერდნენ. ამ ტრადიციის ფუძემდებლად ელენე დედოფალი გვევლინება. თუმცა სამარხები აქ უძველესი დროიდან არსებობდა და დღემდე შემორჩენილი ებრაული აკლდამები, რომლებიც ძირითადად მეორე ტაძრის ეპოქას განეკუთვნება. ასევე მრავლადაა ჰეროდეს პერიოდის (37 B.C.–70 A.D.) აკლდამის ტიპის სამარხები, რომელთაგან ზოგიერთი დღემდე კარგ მდგომარეობაშია.¹⁸ 1555წ. ფრანცისკანელ ეპისკოპოსს ბონიფაციუსს, რომელსაც მაცხოვრის საფლავის რესტავრაციის ხელმძღვანელობა ჰქონდა დავალებული ეს უძველესი ებრაული აკლდამები მაცხოვრის საფლავისთვის მიუმსგავსებია¹⁹. სამარხი ნაგებობების ეს ტრადიცია საუკუნეების მანძილზე უცვლელი რჩებოდა. პიაჩენცელი მომლოცველი ანტონინუსი, რომელსაც 570 წლისთვის მოუნახულებია აკლდამას სახელით ცნობილი ადგილი, ყურადღებას ამახვილებს პილიგრიმების სამარხებზე. გალი ეპისკოპოსი არკულფი, რომელმაც დაახლოებით 670 წელს იმოგზაურა იერუსალიმში, ასევე წერს მომლოცველთა დაკრძალვის შესახებ ამ ტერიტორიაზე²⁰. ტრადიციას აგრძელებენ ჯვაროსნები. XIII-ში აქ ჰოსპიტალებების ორდენის წევრებმა, წმ. იოანეს რაინდებმა ააშენეს დიდი მიწისქვეშა თაღოვანი ნაგებობა, რომელსაც უწოდებდნენ Chaudemar-ს, რაც დამახინჯებული ფორმაა სიტყვებისა Champ de Mar (სისხლის ველი)²¹, ანუ როგორც იწოდება აკლდამა მოციქულთა საქმეში. ამ ნაგებობაში ინახებოდა ლაზარეთში გარდაცვლილი რაინდებისა და მომლოცველების ძვლები, დღემდე 50-მდე მიცვალებულს კრძალავდნენ ჰოსპიტალები. არქეოლოგიურად დადგენილია, რომ მიცვალებულთა ძვლების ფენა აქ 4-5 მეტრს შეადგენს.²² ეს ნახევრად დანგრეული თაღოვანი ნაგებობა ჯერ კიდევ შემორჩენილია წმ. ონოფრეს სახელობის მონასტრის მახლობლად, რომელიც ბერძნებმა ძველი ეკლესიის

¹⁵ იერ. 7:31.

¹⁶ პიერო პეტროზილო, ქრისტიანობის ლექსიკონი, თარგმნ. მარიკა სააკაშვილმა, რედ. მერაბ ღაღანიძე (თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტის გამოც., 2011); იერ. 7:31-32; 2 მეფ. 23:10.

¹⁷ Charles Herbermann, ed. "Haceldama", Catholic Encyclopedia (New York: Robert Appleton Company, 1913).

¹⁸ Leen and Kathleen Ritmeyer, "Potter's Field or High Priest's Tomb", Biblical Archaeology Review, November/December, volume 20, number 6 (1994), 22.

¹⁹ Zwiep, *Judas and the Choice of Matthias*, 49.

²⁰ Charles Warren and Claude R. Conder, *The Survey of Western Palestine, Jerusalem* (London, 1884), 380; Ritmeyer, "Potter's Field", 22.

²¹ Ritmeyer, "Potter's Field", 23-24.

²² Zwiep, *Judas and the Choice of Matthias*, 49.

საძირკველზე ააგეს 1892 წელს. მომლოცველთა ამ ტერიტორიაზე დაკრძალვის ტრადიცია თითქმის XIX-მდე არსებობდა²³.

ყოველივე აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ სიტყვის **აკლდამა** ქართულ ენაში დამკვიდრება მნიშვნელობით, როგორც ეს გვაქვს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში - „ქვიტირის სამარე, რომელშიც მარხავენ მიცვალებულს/ ნაგებობა ასეთ სამარეზე“²⁴ - უკავშირდება ამ სიტყვის არა წმინდა წერილისეულ გაგებას, არამედ იერუსალიმში **აკლდამად** ცნობილ ადგილას სამარხავი ნაგებობების არსებობის ტრადიციას, რაც კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქართველთათვის²⁵. სტეფანე მენთეშაშვილი, რომელიც შეისწავლის საქართველოში სამარხების ტერმინოლოგიას, აზუსტებს, რომ აკლდამა წარმოადგენს ისეთ სამარხავ შენობას, სადაც მრავალჯერადად მარხავენ მიცვალებულებს²⁶.

ქართველი ლექსიკოგრაფები, როგორც წესი, ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობას იცნობენ. **აკლდამა** სულხან-საბას მიერ განმარტებულია, როგორც „საძვლე საფლავი“, ხოლო **აკელდამა** - როგორც „დაბა სისხლისა“ *მოციქულთა საქმის* დამოწმებით²⁷. ნიკო ჩუბინაშვილი წერს: **აკელდამა** - ებრაულად აგარაკი ანუ დაბა სისხლისა; ამისგან წოდებულ არს **აკლდამა** მიწაში შეკრული კამარა მკუდართა გუამთა დასადებად და მისვე ებრაული ლექსიდან „დამა“ მიღებულ არს ქართულად ლექსი „დაბა“, რომელია სოფელი ან შენობა, ვითარ ახალდაბა, დაბნები, უდაბნო და სხვ.²⁸ ჩვენთვის უცნობია, თუ რა მასალას ეყრდნობოდა ჩუბინაშვილი სიტყვა „დაბას“ ებრაული წარმომავლობის მტკიცებისას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არამეული წარმომავლობის სიტყვაში **აკელდამა** - *חמל דמה* (*Haqel D'ma*) კომპოზიციის პირველი შემადგენელი ნაწილია მიწის აღმნიშვნელი, ხოლო მეორე სისხლის.

დღეისათვის დაბა განიმარტება როგორც „ქალაქის ტიპის პატარა დასახლება“²⁹. ძველ ქართულ ტექსტებში დაბა როგორც „აგარაკი, „სოფელი“, „ყანა“ უკვე V საუკუნიდან გვხვდება³⁰. დაბა ნახსენებია „შუშანიკის წამებაში“:

²³ Warren and Conder, *The Survey of Western Palestine*, 380.

²⁴ ქეგლ.

²⁵ იერუსალიმში არსებული ქართული რელიგიური კერების შესახებ უახლესი კვლევები და ბიბლიოგრაფია იხ. თამილა მგალობლიშვილი, (იდეის ავტორი), *ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მიწაზე*, შემდგენლები: გიორგი გაგოშიძე, ნინო კვირიკაშვილი, თინათინ ცერაძე, ლელა ხოფერია, მზი ჯანჯალია (თბილისი, 2022); გოჩა ჯაფარიძე, *ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში* (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით), (თბილისი: „მერიდიანი“, 2018).

²⁶ სტეფანე მენთეშაშვილი, „მიცვალებულთა დამარხვისა და სამარეების ტერმინოლოგიისათვის“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII-B, (1944), 175-176.

²⁷ სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული, მოამზადა ილია აბულაძემ* (თბილისი: მერანი, 1990).

²⁸ ნიკო ჩუბინაშვილი, *ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, სისტემისაგან საბასულხან ორბელიანისა (1812-1825წწ)*, რედ. ალექსანდრე ღლონტი (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1961).

²⁹ ქეგლ

³⁰ მ.10:11; ლ.9:52; სინ.მრ. 238: 28; ივდ. 4:4.

„მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი რქვან ცურტავ“³¹; „მოვიწიე დაბასა მას, რომელსაცა იყო ნეტარი შუშანიკ“³². გრ. ხანძთელის ცხოვრებაში კი გვხვდება ფორმები: დაბა, უდაბნო, მეუდაბნოე. რაც შეეხება ფორმას „დამა“, ის გვხვდება მხოლოდ ვეფხისტყაოსნის ცამეტ ხელნაწერში. კერძოდ, ერთ-ერთ ბოლო ტაეპში, რომელიც მკვლევართა დაუსრულებელი კამათის საგანია, ვკითხულობთ: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დამისა“.

იოანე ბაგრატიონი, სულხან-საბას მსგავსად, რომელსაც ის ეყრდნობა, განასხვავებს **აკლდამას** და **აკელდამას**. იგი განმარტავს, რომ **აკელდამა** ებრაულია და „ნიშნავს ადგილსა იერუსალიმს შინა“, „დაბა სისხლისა“ (მიუთითებს „მოციქულთა საქმეს“). ხოლო **აკელდამა** არის სასაფლაო თადით ამოყვანილი ეკლესიის ძირსა, რომელსაც მკუდარს დასდებენ დაუსაფლაველად კუბოთი; აგრეთვე ეკლესიის გარეთაც იქმნება ამა სახედვე ქმნილი, რომელ ძველად უფროვე ესგუარ მარხვიდენ; ეგრეთვე ეწოდება აკლდამა საძვლე საფლავსა, რომელ მკვდრის კაცის ძვლებს მოაგროებენ და აშენებულს საწნახელსავით მას შინა შეინახავენ; და აგრეთვე წმინდათა ძვლებთაცა ვითარცა არს წამებულის მონასტერსა შინა წმიდათა მოწამეთა ძვალნი ერთად შეკრებით მწყობარენი“³³.

ქართულ წერილობით ძეგლებში **აკლდამა/აკელდამა** ფორმები ერთმანეთის პარალელურად იხმარება როგორც სამარხი ნაგებობის აღმნიშვნელი და არ არის ასოცირებული იუდას ცოდვასთან. **აკლდამა** მოხსენიებულია ქართულ თარგმანში თხზულებისა „წარტყვენა იმრუსალჴმისაჲ“: რომელნი-მე საფლავთა-შინა და აკლდამათა დაჴჴმარხენით“³⁴. ხოლო **აკელდამა** ფორმა გვაქვს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: „ხოლო უფალმან აჩუენა სასწაული, რამეთუ დამახვასა სხუათა მიცვალებულთასა სამ გზის იშოვა შიგან კარსა აკელდამისასა მდებარე. და არღარა იკადრეს აღებად გუამი იგი ცოდვილისა მის დედაკაცისაჲ“³⁵. აღსანიშნავია, რომ გიორგი მერჩულე ამ მონაკვეთში მოგვითხრობს ღვთიურ სასწაულზე. ეს კი სრულ შესაბამისობაშია იოანე ბაგრატიონის განმარტებასთან, რომ აკლდამაში წმინდანთა და წამებულთა ძვლები ინახება.

ამგვარად, არსებობს ორი ტრადიცია სიტყვა **აკლდამასთან** დაკავშირებით. პირველი ეს არის წმინდა წერილისეული განმარტება, რის მიხედვითაც „დაბაჲ სისხლისაჲ“ ეწოდა ოცდაათი ვერცხლით შეძენილ მიწას. ხოლო მეორე არის **აკლდამის** ტიპის სამარხების ტრადიცია **აკელდამად** წოდებულ მიწაზე იერუსალიმში, რაც, თავის მხრივ, გამოძახილია მათეს სახარების სიტყვებისა, რომ მღვდელ-მთავრებმა ეს მიწა იყიდეს „საფლავად უცხოთა“³⁶. ქართულ ენაში შემოდის და მკვიდრდება ეს სიტყვა სწორედ მეორე მნიშვნელობით, რაც იმით

³¹ „შუშანიკის წამება“, ილია აბულაძე, რედ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (თბილისი, 1963) 12, 14.

³² „შუშანიკის წამება“ - აბულაძე, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 13, 18-19.

³³ ქუთათელაძე, ლალი, რედ., იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი“ (თბილისი: „მეცნიერება“, 1975).

³⁴ „წარტყვენა იმრუსალჴმისაჲ“ Gérard Garitte, éd., trad., La Prise de Jérusalem par les Perses en 614 (Secrétariat du Corpus SCO 1960) 144, 20.

³⁵ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ - აბულაძე, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 299, 41- 300, 1

³⁶ მათე 27:7

დასტურდება, რომ **აკელდამა** გვხვდება X ს-ის ქართულ წერილობით ძეგლში როგორც წმინდანის სამარე. ჯვაროსნების პერიოდში **აკელდამა** გადაიქცა ბიბლიური საზარელი ადგილიდან იერუსალიმში დაღუპული მომლოცველების ქრისტიანულ სამარხად. მომლოცველებისთვის სამარხების აგება და ევროპულ სასაფლაოებზე ამ ადგილიდან მიწის წაღების პრაქტიკა ასახავს იმ დრმა სულიერ მნიშვნელობას, რაც **აკელდამამ** შეიძინა შუა საუკუნეების ქრისტიანებისთვის და, რაც ძალიან კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქართველთათვის იმ დროისათვის იერუსალიმის სასულიერო კერებში მოღვაწე თანამემამულეთა მეშვეობით. ამ გარემოებამ თავის მხრივ, განაპირობა სიტყვა **აკელდამა/აკლდამას** სემანტიკური მნიშვნელობის ევოლუცია და მისი თავდაპირველი მნიშვნელობის სრული ინვერსია იუდას ცოდვიდან საპატიო სამარხ ნაგებობამდე.

დამოწმებული ლიტერატურა - References

1. აბულაძე, ილია (რედ.). *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი I. თბილისი, 1963.
2. ელიზბარაშვილი, ელისო. „აკელდამა/აკლდამა - „დაბაჲ სისხლისაჲ“ (ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევა).“ | საერთაშორისო კონფერენცია „სემიტოლოგიური ძიებანი“, თბილისი (2017): 32-35.
3. იყალთოელი, არსენ, თარგმ. დიდი სჯულის კანონი. გამომც. ენრიკო გაბიძაშვილი, ელგუჯა გიუნაშვილი, მანანა დოლაქიძე, გულნარა ნინუა, თბილისი: მეცნიერება, 1975.
4. იყალთოელი, არსენ, თარგმნ. დიდი სჯულის კანონი - თარგმნილი არსენის მიერ, ახალქართული ვერსია მოამზადეს მანანა დოლაქიძემ და გულნარა ნინუამ, თბილისი, 2009.
5. მგალობლიშვილი, თამილა (იდეის ავტორი). *ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მიწაზე*, შემდგენლები: გიორგი გაგოშიძე, ნინო კვირიკაშვილი, თინათინ ცერაძე, ლელა ხოფერია, მზი ჯანჯალია, თბილისი, 2022.
6. მენთეშაშვილი, სტეფანე. „მიცვალებულთა დამარხვისა და სამარეების ტერმინოლოგიისათვის“, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XII-B, (1944): 163-176.
7. ორბელიანი, სულხან-საბა. *ლექსიკონი ქართული*. მოამზადა ილია აბულაძემ, თბილისი: მერანი, 1991.
8. პეტროზილო, პიერო. *ქრისტიანობის ლექსიკონი*. თარგმნ. მარიკა სააკაშვილმა, რედ. მერაბ ღაღანიძე. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტის გამოც., 2011.
9. ქუთათელაძე, ლალი, რედ. *იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი“*. თბილისი: „მეცნიერება“, 1975.
10. ჩუბინაშვილი, ნიკო. *ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, სისტემისაებრ საბა-სულხან ორბელიანისა (1812-1825წწ.)*. რედ. ალექსანდრე ღლონტი (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1961).

11. ჯაფარიძე, გოჩა. *ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით)*, თბილისი: “მერიდიანი”, 2018.
12. Garitte, Gérard, éd., trad., *La Prise de Jérusalem par les Perses en 614. Secrétariat du Corpus SCO*, 1960.
13. Gundry, Robert H. *The Use of the Old Testament in St. Matthew's Gospel*. Leiden: Brill, 1967.
14. Herbermann, Charles, ed. “Haceldama”. *Catholic Encyclopedia*. New York: Robert Appleton Company, 1913.
15. Klostermann, Erich, ed. *Das Onomastikon der biblischen Ortsnamen*. Leipzig: J. C. Hinrichs, 1904; repr. Hildesheim: Georg Olms, 1966.
16. Ritmeyer, Leen and Kathleen. “Potter’s Field or High Priest’s Tomb.” *Biblical Archaeology Review*, volume 20, number 6 (November/December 1994): 22-35, 76, 78.
17. Sophocles, Evangelinos A., *Greek lexicon of the Roman and Byzantine periods (from B.C. 145 to A.D. 1100)*, Cambridge: Harvard University Press, 1914.
18. Warren, Charles and Conder, Claude R. *The Survey of Western Palestine, Jerusalem*, London, 1884.
19. Zwiep, Arie W. *Judas and the choice of Mathias: a study on context and concern of Acts 1: 15-26*, Mohr Siebeck, 2004.